ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 299

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №29-ის მიმდებარედ არსებული 408 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.959) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №29-ის მიმდებარედ არსებული 408 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.959) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 სექტემბრის №19.969.1231 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №29-ის მიმდებარედ არსებული 408 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.959) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ზაურ ბოხუას (პ/ნ: 01005016528) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქი თბილისი, ქუჩა ბოჭორიშვილი, №2, ქუჩა ბოჭორიშვილი №2-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, რაიონი გლდანი, კარტოგრაფიულ ფაბრიკასა და I მ/რ შესასვლელთან; ქალაქი თბილისი, ქუჩა ბოჭორიშვილი, №2, მიმდებარედ არსებული 215 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.014.113) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე